№ 246 ნოემბერი 14, კვირა — 1893 — ნოემ[illegible] 14 კვირა № 246

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 **სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს,

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ვ. ა. აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისა და ვ. ს. ალექს. მესხიევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I.

**შეშლილი**

დრ. 3 მოქმედ., გად. ვ. აბაშიძისა

II

**დაქცეული ოჯახი**

კომ. 3 მოქ. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ალ. მესხიევი, გუნია, სვიმონიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 7½ საათზედ

დაიბეჭდა და ისყიდება

კედლის ქართული

**კალენდარი**

1894 წლისა

შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ

(მეექვსე წელიწადი)

კალენდარი ისყიდება იზმიროვის მემკვიდრის ს. მ. ლაზრიევის მაღაზიაში, წიგნების გამომც. ამხან. პავილიონში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში და აგრედვე პროვინციებში ქართულ წიგნების მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან ორი აბაზი.

(3—1)

## ტფილისი, 14 ნოემბერს

რამდენს ათასსა და ხთი-ათასს მშობელს აუკანკალებს გულს ერთი მხოლოდ ამბავი, რომ უმართებულესმა სენატმა უნდა გაარჩიოს მოკლე ხანში უკანონოდ შობილთა ბედი.

მაგრამ რა განუზომლად უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება თვით განაჩენს, რომელიც ერთიანად შესცვლის დედ-მამათა და უცოდველ ყრმათა მდგომარეობას! ამ განაჩენზეა დამოკიდებული მოისპოს თუ არა სამუდამოდ უღირსი ადამიანის დამამცირებელი დევნა და შეურაცხყოფა საზოგადოებისა და კანონისაგან უკანონოდ შობილ არსებათა!

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი სამსჯავრო დაწესებულება რუსეთისა, როდესაც ამ მძიმე საგნის განხილვას შეუდგება, მიიხედავს მაცხოვრის ხატისაკენ, რომელიც განხორციელებული შებრალებისა და შენდობის გამომეტყველია; გაიხსენებს მის სიტყვას: „და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესე ვითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნაროს“. და შეასრულებს სამართლიანობისა და სინიდისის მოთხოვნილებას—მიანიჭებს უკანონოთა ჯეროვანს უფლებას.

ჩვენს დროში, როდესაც ბრძოლა არსებობისათვის მეტის-მეტად არის გამწვავებული, როდესაც უფლება-შემოსილნიც-კი ძლივს გამოდიან გამარჯვებულნი ამ საშინელის ბრძოლიდამ, როგორი-და უნდა იყოს იმათი ცხოვრება, იმათი ბედი, რომელნიც დაბადებისათანავე უფლებააყრილნი და შერცხვენილნი არიან?.. მერე რისთვის ან ვის დანაშაულობისათვის? — დიაღ, უმანკო ყრმათა ახდევინებს საზოგადოება და კანონი დედ-მამის ცოდვას! მაგრამ ეს ხომ არც ღვთისა და არც ადამიანის სამართალს არ ეთანხმება!

თვით რუსეთის კანონი, რომელსაც სისუსტეს და გულ-ჩჩვილობას ვერ დავწამებთ—ისიც-კი არა სჯის ერთის დანაშაულობისთვის მეორეს! მაშ რაღა გახდნენ ეს უსუსური და უმანკო არსებანი, რომ მშობელთა ვნებათა-ღელვა და გატაცება მათ გადაახდევინოს კანონმა?!. არა, ჩვენ არ გვჯერა, და ერთს წამსაც არ გვინდა ვიფიქროთ, რომ სენატი ამ საქმეს სხვა გვარად შეჰხედავს და სხვა გვარად გადასწყვეტს, ვიდრე გადასწყვიტა კაცობრიობის მხსნელმა, მისთვის ჯვარცმულმა ღმერთმა? გარდა ზნეობრივის მოვალეობისა, საზოგადოება სხვა მხრითაც არის ვალდებული წინაშე ყრმისა. დახმარება და გამოსარჩლება იმათი, ვინც ჯერ მოკლებულია ღონესა და საშვალებას, ეს ხომ უაღრესი მოვალეობაა და თვით შეუმცდარი ანგარიში, რადგანაც ღვაწლი და სიკეთე ამ უსუსურთა შესაწყვენელად ერთი-ასად დაუბრუნდება ქვეყანას, როდესაც ეს პაწაწკინტელა არსებანი საზოგადოების წევრნი შეიქნებიან და იმათაც მოუვათ დრო გაასამართლონ სხვანი.

არ უნდა დავივიწყოთ რომ მომავალი ეკუთვნის მხოლოდ ახალგაზრდობას რომელზედაც დამოკიდებულია განათლება და ბედნიერება ერისა.

როდესაც უმართებულესი სენატი, ეს სამართლის მომფენი უმაღლესი დაწესებულება უკანონო ყრმათა უფლების მინიჭებაზედ იქონიებს სჯას, მან სხვათა შორის არც ის უნდა დაივიწყოს, რომ, თუ სრული წლოვანი კაცი დაისჯება ამ ქვეყნად იგი თითონ არის მიზეზი თავის სასჯელისა, ხოლო ნორჩი, უმანკო არსება რა შუაშია რომ იხადოს სხვისი ცოდვა! მერე უმწვიდის ტანჯვაზე უარესი სანახავი ხომ ცას ქვეშეთში აღარა არის რა!

საზოგადოდ ყრმათა სიყვარულსა და სიბრალულს თვით ღმერთი გვასწავლის, თორემ თავის ნაშობის მოვლა და სიყვარული პირუტყვმაც არ იცის ადამიანზე ნაკლებად!

ვისაც სურს თავისი კაცური მოვალეობა მოიხადოს, იგი ვალდებულია მწედ და მოსარჩლედ გაუხდეს ამ ბედისაგან დაჩაგრულთა და სუსტთა არსებათა, რომელთაც დღემდის სდევნიდა ცდომილი ერი. მაგრამ მოაწია დრომ როდესაც სიბნელე და წყვდიადი უმეცრებისა უნდა განჰქრეს და ადამიანს, თანასწორს ღვთის წინაშე, მიენიჭოს ისეთივე თანასწორობა წინაშე კაცისაცა.

მაშ ველოდეთ ამ ფრიად სამნიშვნელო განაჩენს და ვიქონიოთ, იმედი, რომ სენატი სიყვარულსა და სიბრალულს წაუმძღვარებს საფუძვლად, როდესაც უმანკო ყრმათა ბედზე იქონიებს მსჯელობას *)

მეველე

*) როდესაც ეს წერილი გავათავეთ, მაშინ წავიკითხეთ ერთს რუსულს გაზეთში, რომ პეტერბურგში დაბადებულ ყრმათა შორის მეოთხედი უკანონო ყოფილა.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს მთავარ-მართებლის წინაშე, რომ რაშკევიჩის მკვლელები სამხედრო წესით იქმნან განსამართლებულნიო.

*** რკინის გზის სადგურ გრაკალში საქონლის ერთს ვაგონში 12 ნოემბერს იპოვნეს მიგდებული ბავშვი მამრობითის სქესისა. ბავშვი რკინის გზის სადგურზე მსახურმა სერგეი ლუტავინოვმა აიყვანა, მაგრამ სადგურზევე ბავშვი ხელში მოუკვდა, რადგანაც დიდხანს ყოფილა თურმე მშიერი.

*** როსტოვიდგან იქაურ ფქვილის გამყიდველ სოლოდოვის ფირმას ტფილისში გამოუგზავნია თავისი კაცი, რომელმაც უნდა შეიტყოს, ტფილისში პური ძვირად რად იყიდება, როგორ ფასობს აქ ფქვილი და როცა ამას შეიტყობს, წარუდგენს ქალაქის მმართველობას მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა ფასად შეუძლიან ზემოხსენებულს ფირმას ფქვილის გაყიდვა ტფილისის ბაზრებში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ შეატყობინა ბაქოს მხარეს ყველა სადგურების უფროსებს, რომ ამიერიდგან მატარებლით აღარ მიიტანენ წყალს იმ სადგურებში, სადაც წყალი არ ვარგა. 15 ნოემბერს ყველა სადგურებს გაეგზავნებათ ცხენები და ბოჩკები, რომლებითაც სადგურებში ახლო-მახლო წყაროებიდგან უნდა ჰზიდონ წყალი.

*** ყარაიაზი: 13 ნოემბერს ღამე ყარაიაზის სადგურს ახლო სადარაჯოს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი. დარაჯი ლიანდაგზედ იდგა და მატარებლის გამოვლას ელოდდა. დარაჯის ცოლ-შვილმა ხმაურობა ასტეხეს. დარაჯი მიხვდა, რაღაცა უბედურება უნდა იყოსო და მიმავალი მატარებელი გაიჩერებინა. ავაზაკები გაიქცნენ.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ამ თვის 12, ღამე, სვირისა და ქარელის სადგურებ შუა მატარებელმა გასრისა დარაჯი, გვარად ხიზანაშვილი. ხიზანაშვილს დარჩა უნუგეშოდ მოხუცი დედა, ცოლი და ორი შვილი. ხიზანაშვილის გვამი გასჭრა რკინის გზის მკურნალმა შულცემ და აღმოჩნდა, რომ მიცვალებული ძალზე მთვრალი ყოფილა, როდესაც მატარებელს გაუსრესია.

*** ქუთაისი: აქ ხმა მოვიდა, რომ ვითომ ყაჩაღი მიქელაიშვილი დასცემია ნატანებიდამ ოზურგეთში მიმავალს დილიჟანს და გაუძარცვავს მგზავრნიო. მიქელაიშვილს უთქვამს,

# ფელეტონი

## ლიტერატურა და ხელოვნება

აზრი პროფესორის ფერეროსი ეხლანდელ ლიტერატურის შესახებ.—ხელოვნება ამერიკაში. — „Cosmopolis“-ი პოლ ბურჟესი.

ბოლონიის უნივერსიტეტის ცნობილმა პროფესორმა ვილჰელმ ფერერომ Revue des Revues-ის ერთ-ერთს უკანასკნელს ნომერში თვალი გადაავლო ეხლანდელ ლიტერატურას და ყურადღება მიაქცია იმ ფილოსოფიურსა და ზნეობრივს საფუძველს, რომელზედაც არის დამყარებული იგი ლიტერატურა. „მართალია, რომ ვითომ ქვეყნიერობა დიდ სამკურნალოდ გადაქცეულა? ეს უნდა ჰკითხონ თავიანთ თავს იმათ, ვინც ბევრს წიგნებსა ჰკითხულობენ. რომანისტები, პოეტები, ფილოსოფოსნი, ჟურნალისტები და მკურნალნი სულ იმას გვეჩიჩინებიან, რომ ეს ჩვენი დრო, ჩვენი საუკუნე ავადმყოფობით არის შეპყრობილიო“. ასე აქვს დაწყებული ფეფეროს თავისი საინტერესო მიმოხილვა. პროფესორი ასახელებს კიდეც უმთავრეს წარმომადგენელთ ეხლანდელ პესიმიზმისას და კაცთა მძულვარებისას. იმის აზრით ემილ-ზოლას რომანები—რუგონ-მაკარი—მხოლოდ ერთი უზარმაზარი ძეგლია კაცთა-ნათესავის გადაგვარებისა, კაცთა-ნათესავის დადგომისა გადაშენების გზაზედ. გრაფ ტოლსტოის სიტყვა-კაზმულ ნაწერებზე ბოლონიის პროფესორი ამბობს, რომ პატალოგიური ანატომია არის დღევანდელის საზოგადოებისაო. იბსენმა და ძმათა გონკურთა რომანი და დრამა კლინიკად გადააქციეს, ბურჟე დარწმუნებულია, ეხლანდელ თაობას ვერა დაიხსნისრა უკურნებელ სენისაგანაო და ამიტომ, მზგავსად დიდებულის შექსპირისა ურჩევს: მონასტერში წადიო! გერმანიაში შოპენჰაუერის შემდეგ გაჩნდა ნიტშე, რომლის აზრით, კაცობრიობის იდეალი თემურ-ლენგი და ბორჯია არის. არიან კიდევ უფრო უარესი პესიმისტები. ფერეროს აზრით, რენანისა და ტენისთანა უმწვერვალესნი პესიმისტები ჯერ არ ყოფილან ამ მეცხრამეტე საუკუნეში. პირველს სძაგს კაცობრიობა, ხოლო მეორე საოცარის გულ-დამშვიდებით აღგვიწერს კაცთა მტარვალობასა და გულ-ქვაობას, სწორედ ისე, როგორც ვარსკვლავთ-მრიცხველმა გვიამბოს დამშვიდებით, რომ ამა და ამ ცთომილ ვარსკვლავს ესა და ეს საშინელი ბედი გადაჰხედიაო. ლომბროზოც უკიდურესი პესიმისტია, რადგან, იმის აზრით, გენიოსობა ახლოა ჭკვა-შეშლილობაზეო, დიდი სიჭკვიანე და დიდი სისულელე და-ძმანი არიანო. მხოლოდ ერთი სპენსერია გულ-მშვიდი, გონება-ნათელი და არა ჰკარგავს იმედს, რომ კაცობრიობა წინ მიდის, წარმატების გზაზედა სდგასო.

ადამიანს თავ-ბრუ ეხვევა, როცა უცქერის იმ საცოდავ სენ მორეულთა და სულით ავადმყოფთ, რომელთაც თვალ-წინ გვიყენებენ ეხლანდელი მწერლებიო, განაგრძობს ფერერი და თან დასძენს: „მე მაინც იმას ვიტყვი, რომ არა, ჩვენ ავად არა ვართ! დიდი შეცდომა იქნება, რომ ჩვენის საუკუნის სნეულებათა მისაგებად, ჩვენის ეპოქის დასახასიათებლად, მივმართოთ წიგნებსა და ხელოვნების ნამოქმედარს. აბა, დაიწყეთ, მაგალითად კითხვა შუა საუკუნეთა მწერლებისა, შეისწავლეთ სურათნი მე-XIII და XIV საუკუნეებისა. ასე გეგონებათ, რომ შუა საუკუნენი იყო დრო მისტიციზმისაო, როგორც ჰგონებდნენ ზოგიერთი შეუგნებელნი ფილოსოფოსნი ნამდვილად-კი მისტიციზმს ძალიან ცოტანი მისდევდნენ, უმრავლესობა-კი, როგორც დღესაც, ისე მაშინაც დიდის ალტაცებით ეტანებოდა სიამეთა სოფლისათა. ვისაც ეს არა სჯერა, წაიკითხოს მაშინდელი ქრონიკები და დარწმუნდება.

ესევე შეიძლება ითქვას ჩვენს საერთო „გადაგვარებისა და გადაშენების“ შესახებ. მართალია, ჩვენს დროში ნაკლებად არ არიან გადაგვარებულნი, ნევროპატოპსი ხოპატები, მაგრამ, სამაგიეროდ, უმრავლესობა ხომ სულ ჯან-საღნი და ჭკუა-მრთელნი არიან, თუმცა რომანისტები და ფილოსოფოსნი-კი სულ სხვას გვიამბობენ. ყველა რომ მართლა ისე ძრიელ იტანჯებოდეს, როგორც იტანჯებიან გმირნი ეხლანდელის რო-

ვითომ დილიჟანში მსხდომ ვაჭართათვის, მე ხომ მიცნობთ, მიქელაიშვილი ვარ, ფული მჭირია და თქვენის ნებით მომეცითო. 600 მანეთამდე მოუგროვებია და წაუღია. სხვაფრივ არავისთვის არა დაუშავებიარაო. ცხადია, რომ დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

ჩვენს ქალაქში დიდი ამბავია ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მომავალ არჩევანების გამო. ჯერ არჩევანების დანიშვნის დროზეა დიდი დავიდარაბა და მერე იმაზე, თუ ვინ იქმნას არჩეული ამა თუ იმ თანამდებობისათვის. ემზადებიან აგრედვე საქალაქო არჩევანებისათვის ადრე გაზაფხულზე. ერთის სიტყვით, საარჩევანო ციებ-ცხელება იწყება.

აქეთ სულ წვიმებია და ცუდი ამინდი. ორი კვირაა, ორი მზიანი დღე არ გვინახავს.

## მთავრობის განკარგულებანი

—

სახალხო განათლების მინისტრმა მისწერა ოდესის ოლქის ყველა სასწავლებლების უფროსებს: როცა სწავლა დამთავრებულ, ან უფროს კლასებიდგან გამოსულ ურიებს მოწმობებს აძლევდეთ, თანვე გამოუცხადეთ, რომ პეტერბურგში არ წავიდნენ, უნივერსიტეტებში, საზეითალო ინსტიტუტებში, ან კიდევ სხვა ამ გვარ სასწავლებლებში შესვლის ნებართვის სათხოვნელად და მხოლოდ თხოვნები გაუგზავნონ ზემოხსენებულ სასწავლებლების უფროსებს და თუ მიღებულ იქმნებიან, მხოლოდ მაშინ წავიდნენ პეტერბურგში. ხოლო თუ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ურია პეტერბურგს წავიდა, ამ ქალაქში ცხოვრების ნება არ მიეცემა.

## დამაკვირდი

—

ღვინის სმაში მოპოვებული მეგობრობა ღვინოსავით მალე განქარდება.

პიერემონტი

**

ვინც მეტად გვიან შეირთავს ცოლს, ის უფრო ადრე დააობლებს თავის შვილებს.

ქაბუსი (სპარს.)

**

ცოდნაა საჭირო იმისათვისაც, რომ შეიძლო და სხვასთან შენი უცოდინარობა დაჰფარო.

ებნერ ეშენბახი

## კორესპონდენცია

—

ს. ბაკურციხე (სიღ. მაზ.), 10 ნოემბერს. როგორც ჩვენის მაზრისა, აგრედვე საზოგადოდ მთელის კახეთის ბუნების ქება-დიდება ვის არ გაუგონია. და რომ ღირსია ასეთის ქება-დიდებისა — ეს ყველასთვის ცხადია. მხოლოდ ისიც ცხადია, რომ ასეთს მდიდარს ბუნებაში მცხოვრებნი სამწუხაროდ ისე ვერა სცხოვრობენ ჯერ-ჯერობით, როგორადაც შესაძლებელია ამისთანა ბუნებით მდიდარ ქვეყანაში. ყველა გარეშე ხალხი უწყალოდ დაგვცინის, — „ეტყობა კახელ ხალხს ან ჭკუა არ უჭრის, ან მდიდარ ბუნებას გაუზარმაცებია, შრომა არ უყვარს და იმიტომ არის ღარიბიო“. შეიძლება მათი ფსეთი განაჩენი ერთის მხრივ მართალი იყოს, ხოლო ჩვენი სიღარიბე სულ ხალხის სიზარმაცეს არ მიეწერება, არამედ ბევრი სხვა-და-სხვა მიზეზებით უფრო აიხსნება, მაგალითად: მეურნეობასა და მრეწველობას ბუნება მართლა ხელს უწყობს, მაგრამ განა მარტო ბუნების სიმდიდრე საკმარისია ხალხში მეურნეობის და მრეწველობის გასავრცელებლად? — სრულიადაც არა! რამდენი მემამულე და იჯარადარი ვიცით, რომლებმაც მიჰყვეს ხელი ბევრს სხვა-და სხვა მცენარეების მოყვანას და მოიყვანეს კიდეც. ბუნებამაც ხელი შეუწყო, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ ისევ იძულებულნი იქმნენ ხელი აეღოთ ახლად დაწყებულს საქმეზედ. რადა? — იმად რომ მათს ნაწარმოებს ნაშრომ-ნაღვაწს ჯეროვანი ფასი არ ჰქონდა და არც თავის დროს გასავალი, და ხშირად უფუჭდებოდათ. აი ამან აუცრუათ გული მწარმოებელთ და ხელი აალებინა შრომაზედ. ამიტომაც კახელებმა ყოველისფერს თავი დაანებეს, ვენახებს გარდა დ აი, ეს-ღა არის დღეს ერთად-ერთი ცხოვრების წყარო. ცოტად თუ ბევრად ეს აძლევს შრომის ფასს და ამასაც-კი ამ ბოლოს დროს თანდათან ფასი ეკარგება, გასავალი არა აქვს, რამაც ძლიერ ჩააფიქრა ჩვენი ხალხი.

ამას გარდა დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი მეურნეობისა არის, სხვათა შორის, ახალის სისტემის სამეურნეო იარაღის უქონლობა. თუმცა სამეურნეო იარაღის შეძენა და მოხმარება მრავალსა სურს კახეთ-ქიზიყში, რადგანაც ყველა დარწმუნებულია, რომ ამით შრომას ბევრად გაიადვილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი ხალხი შეუძლებელია, იმდონი ღონის-ძიებაც არა აქვთ, რომ ახალი სამეურნეო იარაღი საკუთარის ფულით შეიძინონ. რამდენი ხანიც გამოვა, უმეტესი გაჭირვება დაადგებათ და ცხოვრება გაუძნელდებათ.

ამ შემთხვევაში, პირველად მაინც ამისთანა გაჭირვებულს ხალხს დახმარება უნდა აღმოუჩინოს ან მთავრობამ, ან „სამეურნეო საზოგადოებამ“.

განა შესაძლებელი არ არის, იკისროს ამ საზოგადოებამ ახალ იარაღის გავრცელება ხალხში, მოურიგდეს რომელსამე შემძლებელს რუსეთსა თუ საზღვარ გარედ, დაიბაროს იარაღი იმ პირობით, რომ ღირებული ფასი ნაწილ-ნაწილად გარდაიხადოს; შემდეგ ეს იარაღი მემამულეთ ანუ სანდო კაცთ და სოფლის საზოგადოებათ ჩაბაროს და დაავალოს იხადონ მექარხნესთან შეპირებულ ვადაზედ იარაღის ფასი. მე მგონია, რომ ეს ძალიან ადვილი მოსახერხებელია და არც თუ საფიქრებელია, რომ „საზოგადოებას“ ან მექარხნეს დაეკარგოს რამე.

ისიც-კი შეიძლება, რომ რომლისამე მექარხნის აგენტმა თვითონ იკისროს ახალ იარაღის გავრცელება და თვითონ დაიჭიროს საქმე პირდაპირ მემამულესთან ანუ სოფლის საზოგადოებასთან, რომ „სამეურნეო საზოგადოება“ მოპასუხე არ იყოს, ხოლო საჭიროა, პირველად ამ საზოგადოებამ გაუწიოს ხალხს შუამავლობა და მექარხნე დაიიმედოს, რომ იარაღის ფასს არ დაჰკარგავს.

შ. ი. ვ—ძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

Journal de ST.-Petersbourg-ში სწერია:

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზედ გარდაიცვალა ბრიტანიის დედოფლის ელჩი სერ რობერტ მორიერი. მორიერი დიდხანს იყო ავად. ზაფხულში რეიხენგალს წავიდა და უკედ გახდა. შემდეგ თავის ოჯახობით მანტრეს წავიდა, ჟენევის ტბის ნაპირას. იქ ავადმყოფობამ ხელ ახლად შეიქცია და სიცოცხლეც მოუსპო. მორიერი 68 წლისა გარდაიცვალა. განსვენებული დიპლომატი რუსეთში ელჩად იქმნა დანიშნული 1884 წელს. მთელი რვა წელიწადი იყო რობერტ მორიერი ელჩად და ამ ხნის განმავლობაში ბევრსა სცდილობდა რუსეთსა და ინგლისს შორის კეთილ-განწყობილებისათვის. რუსეთის მთელი სადიპლომატო კორპუსი მეტადა სწუხს სერ რობერტის გარდაცვალების გამო, რადგანაც ყველას უყვარდა და დიდს პატივსა სცემდნენ.

## რუსეთი

—

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, თუ ვინიცობაა რომელიმე მეურნე ამ სამინისტროს რაიმე თხოვნით მიჰმართავს, თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რა მიზეზებით არის გამოწვეული ეს თხოვნა და აგრედვე საჭირო სასტატისტიკო ცნობანიც.

—

იმპერატრიცა მარიამის სახელობაზედ დაარსებულ დაწესებულებათა უწყების თხოვნის გამო განზრახვა აქვთ გააუქმონ ის კანონი, რომლითაც აღკრძალული იყო საგუბერნიო ქალაქებში სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დაარსება აღზრდისა და მოვლისათვის.

—

17—23 ოქტომბერს, ესე იგი ერთის კვირის განმავლობაში პეტერბურგში მომხდარა 93 ჯვარის წერა, დაბადებულა 453 ყმაწვილი, მათ შორის 125 უკანონო.

—

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტებს გამოუცხადეს, რომ ამიერიდგან აკადემიაში სწავლა-დამთავრებულთ ადგილებს კენჭით აღარ მისცემენ, როგორც უწინ იყო და შემდეგი წესი იქმნება შემოღებული: უკეთესს ადგილებს აირჩევენ თვით სტუდენტები, რომელთაც უკეთესი მოწმობა ექმნებათ სწავლის დამთავრებისა. თუ ვინიცობაა, ორ სტუდენტს ერთნაირი მოწმობა აქვს, უპირატესობა მიეცემა იმას, ვინც წინა წლებში უკეთა სწავლობდა.

—

პარასკევს, 5 ნოემბერს, პეტერბურგის ეკონომისტთა კრებაზედ დ. ნ. ბოროდინმა წაიკითხა მოხსენება „შესახებს სოფლო საზოგადოებათა“. ბ-ნ ბოროდინის აზრით სასოფლო მეურნეობის დაქვეითების მიზეზები მრავალ გვარია და სულ საზოგადო ხასიათისა. გლეხისთვის ძლიერ ძნელია სახელმწიფო ხარჯის გადახდა, სპირტის აქციზისა და მოვახშეობის გამო. აქციზის მომატება ძლიერ აქვეითებს გლეხკაცობას. ლოთობა თან-და-თან ძლიერდება. რუსეთის გლეხკაცი წელიწადში 162 დღეს არაყსა სვამს, ამდენსავე დღეს კიდევა სვამს ნაბახურევზედ. სასოფლო კრედიტი სასმელების დუქანშია. დიდძალი ფული იხარჯება სასოფლო მოხელეების ჯამაგირებზედ. ბეგარა 17 მილიონამდე ჯდება, 15 მილიონამდე იხარჯება სასოფლო ადმინისტრაციაზე.

ბოროდინის აზრით, გლეხკაცის კეთილდღეობისთვის საჭიროა ზრუნვა საერო განათლებაზედ, ხელობაზედ და ხელსაქმის რიგიანად მოწყობაზედ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღკრძალულ იქმნას არყის გაყიდვა. არაყზედ აქციზის მაგიერ უნდა იქმნას შემოღებული შემოსავლის კვალობაზედ გაწერილი ხარჯი. რაც შეიძლება უნდა გაიაფდეს ისეთი სასმელები, როგორიც არის მაგალითად ჩაი. დადგენილ იქმნას, რომ მაგარ სასმელების გამყიდველის ვალი კანონიერად არ ჩაითვალოს და, რაც შეიძლება, მალე დაარსდეს სასოფლო კრედიტი.

## მწერლობა

ჟურნალ Revue des Revues-ში დაბეჭდილია წერილი ნორვეგიის მწერალის ჰამსონისა. ავტორი სცდილობს განმარტოს, როგორ დაადგა განვითარების გზას ნორვეგიის ლიტერატურა 1870 წლიდგან და როგორ გამოჩნდნენ ისეთი შესანიშნავნი მწერალნი, როგორიც არიან ბიერნსტერნე-ბიორნსონი, იბსენი და კილანდი. ნორვეგიის ლიტერატურას შეიძლება ზოლაიზმი უწოდოთო, ამბობს ჰამსონი, თუმცა ეს მიმართულება ლიტერატურისა ზოლასა და ფლობერზედ ადრე დაარსდა ნორვეგიაში. როგორ მოიკიდა მერე ფეხი რეალიზმმა ნორვეგიის ლიტერატურაში? ჰამსონი ამაზედ შემდეგ პასუხს იძლევა. ნორვეგია მთიანი ადგილია, სხვა სახელმწიფოთაგან განცალკევებული. მცხოვრებნი სულ გლეხ კაცობაა (ნორვეგიის უკანასკნელი გრაფი ვედელ-იარლსბერგი გარდაიცვალა ამა წლის 23 ივნისს და მისი შვილები კეთილშობილებად აღარ ითვლებიან.) ნორვეგია მხო-

---

მანისტებისა, კაცობრიობა აქამდე სულ გადაშენდებოდა და აღიგვებოდა დედა-მიწის პირიდამ; ადამიანის ჭკუა-გონება ვერც ასეთს ტანჯვას აიტანს და ვერც ნეტარებას; ნორმალური მისი ყოფა შუათანა ყოფაა, როცა მეტის-მეტად არც აქეთ გადიხრება არც იქით სასწორი მისის მდგომარეობისა, იმიტომ რომ კაცი მოკვდებოდა, რომ მისი სიცოცხლე ან გამუდმებული ტანჯვა-მწუხარება ყოფილიყო, ან განუწყვეტელი სიამოვნება და ნეტარება. მარტო ავადმყოფებსა, და განსაკუთრებით, ნევროზებსა სტანჯავს და აწუხებს ყოველივე განუწყვეტლივ, ყოველ წუთსა და ცისამარა დღეს. გარნა ასეთები ხომ ათასში ერთი ძლივს-ღა ურევია.

კარგი, მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ ეხლა ის გარემოება, რომ ასე სხვა-და-სხვაობს და ერთი-ერთმანეთს არ უდგება ხელოვნება და ცხოვრება? ხელოვნებას, ათასიც რომ მისდიოს რეალიზმს, არ შეუძლიან ნამდვილი და უბრალო სიმართლე მოგვცეს; მეცნიერებაც, თუმცა ხელთა აქვს თეორია საექსპერიმენტო მეთოდისა და დაკვირვებისა, მუდამ სისტემას ეტანება. აი ამიტომ წიგნებში ყოველთვის მხოლოდ ნაწილია სიმართლისა. დოსტოევსკისა და ზოლას რომანებში ბევრი რამ მართალი და ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრივე რამ მართალი და ჭეშმარიტი არ არის. ძალიან ცოტაა ისეთი წიგნები, რომელშიაც ისე მრავლად იყოს სიმართლე და ჭეშმარიტებანი, როგორც შოპენჰაუერისა და ლომბროზოს წიგნებშია, მაგრამ აქაც ვხედავთ მხოლოდ არა-სრულს სურათს ჩვენის არსებობის რომელისამე დარგისა და ნაწილისას. ბუნების მოვლენათა სირთულე სძლევს უდიდესის გენიოსის შემძლებლობასაც-კი. განა შესაძლოა, მაგალითად, ვიცოდეთ ყველა მიზეზნი, რომელთა გამოც ხის ერთი ბეწვა ფოთოლს ასეთი სახე აქვს და არა ისეთი, ასეთი ფერი სძევს და არ ისეთი? განა შესაძლოა დასურათება ადამიანთა ყოველ-გვარის ტიპისა მათის აზრებითა და გულისთქმებითურთ? მწერალსა მსწავლულს შეუძლიან გაითვალისწინოს, განარკვიოს მხოლოდ ერთი რომელიმე კუთხე ცხოვრებისა და ამ შემთხვევაშიაც თავის საკუთარის თეორიით სჯის, როგორც მაგალითად, სპენსერი, რომელიც ყოველსავე ისე უცქერის, როგორც მოითხოვს მისის საევოლიუციო თეორიის თვალ-ხედვის ისარი.

მაგრამ ვგონებთ, რომ ბუნებას „ცოტა“ უფრო მეტი თავისუფლება და სანავარდო აქვს, ვიდრე მეტად ვრცელს და ფრთა-გაშლილს თეორიას.

რა არის ახლა მიზეზი იმისი, რომ ხელოვნება და მეცნიერება ცხოვრების უფრო ისეთს გარემოებასა და ვითარებას ეტანება, რომელსაც ავადმყოფობისა და სნეულების ბეჭედი აზის? ამ შემთხვევაში ჰმოქმედობს საზოგადო კანონი ადამიანის გონებისთვის განვითარებისა. წრეს-გასული და არა-ჩვეულებრივი რამ უფრო მეტად ატყვევებს გონებას და აძლიერებს ცნობის-მოყვარეობას, ვიდრე ჩვეულებრივი ამბავი, რომელსაც შენიშვნითაც-კი ვერავინ შეჰნიშნავს ხოლმე. თუმცა დამნაშავე და ცოდვილი კაცობანი მეტად საზიზღარია, მაგრამ ის უფრო იზიდავს ისეთის დიდებულის პოეტის აღფრთოვანებულს მონებას, როგორიც არის შექსპირი, ვიდრე, მაგალითად, რომელიმე კეთილი, პატიოსანი და ჩვეულებრივი მკეთებელი ძეხვებისა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მწერალთა და ხელოვანთა შორის ბევრნი ავადმყოფნი არიან და ამის გამო ძალიან ეხერხებათ აღწერა და დასურათება სულის პატალოგიურის მდგომარეობისა, რომელიც თვითვე აქვთ გამოცდილი. ხშირად პესიმიზმი და კაცთა-ძულება რომელისამე მწერალის-მიერ შედეგია მისის ავადმყოფობისა და სხვა არაფერი. ლეოპარდისა, შოპენჰაურისა და ნიტზეს პესიმიზმს სხვა მიზეზი არა ჰქონია-რა. „ჩემის აზრითაო, დაასკვნის ბოლოს ფერერო, პესიმიზმს ლიტერატურათა და ხელოვნებაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს; ეს მიმართულება ხშირად სულ უბრალო მიზეზისაგან არის გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა მწერალი და მსწავლული უნდა მიეჩვიონ გულ-დამშვიდებით და გულ-გრილად დაუხვდნენ ხოლმე ყოველსავე, რაც კერძოდ იმათ შე-

ლოდ 1814 წლიდგან არ ემორჩილება დანიას და სრულიად თავისუფალია. მაშასადამე ჩვენი ცივილიზაცია მხოლოდ ეხლა იწყება. ჩვენი საკანონმდებლო კრება სულ გლეხკაცებისაგან შესდგება. პოლიტიკაში დემოკრატები ვართ. მეფის უფლება ძლიერ არის შემოზღუდული. ჩვენ იძულებულნი ვართ ბევრი ვიშრომოთ. თევზს ვიჭერთ, ხე-ტყესა ვყიდით ესპანიელებზედ და ამითი ვცხოვრობთ. გაჭირვებამ მიგვაჩვია რეალიზმს და ამიტომ, ლიტერატურის რეალიზმმაც ფეხი მოიკიდა ჩვენს ქვეყანაში. ზოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და მეტად გვიყვარს კიდეც. შემდეგ ჰამსონი სწერს, 1870 წლის აქეთ ჩვენს ლიტერატურაში მეფობს ზოლაიზმი. ჩვენი ლიტერატურა ყველაფერს ადევნებს თვალს. დავიწყეთ წერა რკინის გზებზე, ვკიცხავდით პროტესტანტთა სამღვდელოებას და მთავრობის-მიერ მოწონებულ წიგნებს და სხვ. ერთის სიტყვით, ჩვენს ლიტერატურას საგნადა ჰქონდა და აქვს ჩვენი წესწყობილება და ზნე-ჩვეულება—და სრულიად არ მოგვეპოვება ისეთი წიგნები, რომ ადამიანის სულსა და მის ბუნებას შეეხებოდეს. საფრანგეთში ზოლას გარდა არიან ისეთნი მწერალნი, როგორც ბოდლერი, გონკური, ვერლენი და სხვა. ნორვეგიაში ასეთი მწერლები არ არის. ამას შემდეგ ჰამსონი არჩევს ნორვეგიის ზოგიერთ გამოჩენილ მწერალთა თხზულებებს. ჯერ-ჯერობით დაბეჭდილია კრიტიკული წერილი ბიერნსონის თხზულებათა და შემდეგ მკითხველთ ჰპირდება იბსენისა, კილანდისა და ლის თხზულებათა გარჩევას.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ერთს წვეულობაზედ ლოკრუამ სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა დაადგეს რესპუბლიკის პოლიტიკა.

«რესპუბლიკას რეფორმები უნდა შემოჰქონდეს და სამშობლოს წინმსვლელობის გზას უადვილებდეს, ხოლო ისე-კი არა, როგორც აქნობამდე ესმოდათ რეფორმა და პროგრესი. ჩვენ მოგვწყინდა ეს პატარა რეფორმები, რომლებიც მხოლოდ დურბინდით შეგვიძლიან დავინახოთ, ეს ბუარებელი და პაწაწნიკა ცვლილებანი, რომელნიც აკმაყოფილებენ თითო-ოროლა კაცს. ჩვენ მოგვცალდა ამ ცრუ სიბრძნემ, რომელსაც კეთილ-გონიერობას უწოდებენ და ნამდვილად-კი გაუფრთხილებლობაა,—სიბრძნემ, რომელსაც შესაძლოდ მიაჩნია ძველი კანონები მცირეოდნად გაანახლოს და მოსპოს რომელიმე გახუნებული მუხლი ძველისძველ კანონისა. არა, ამ რეფორმებსა და პროგრესს ქვეყანა ვერა ხედავს; ისინი მხოლოდ უძლურობის ბრალსა გვდებენ. საფრანგეთს სული შეუხუთდა ამ უკუმანში. მხოლოდ დიდი რეფორმები დააკმაყოფილებს ერის მოთხოვნილებას; დიდი სანახაობა მოეწონება მის ოცნებას. ერის მართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იდეალს დაანახვებ. საფრანგეთი დამარცხების შემდეგ წელში გაიმართა და მოწადინებულია ხელახლად დაიჭიროს პირველი ადგილი განათლებულ ერთა შორის; იმას უნდა წილი ჰქონდეს კაცობრიობის გონების განვითარებაში.“

ლოკრუას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი რეფორმები: კონსტიტუციის შესწორება, ხარჯთა შეცვლა, განვითარება მუშა-ხალხის შესახების კანონდებლობისა, ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება.

—

**ბულგარია.** პრინცი ფერდინანდი აქებს და ადიდებს მთავარ ალექსანდრეს სიმამაცესა და ვაჟკაცობას, ბულგარიის ჯარს კეთილად ჰწინამძღვრობდა და სახელი მოუხვეჭა.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** პოლონური მწერლობა ახალ სამინისტროს წინაღმდეგია. Nova Reforma ამტკიცებს, რომ ახალი სამინისტრო ერთს ისეთს საქმესაც ვერ დაამთავრებს, რომელსაც ავსტრიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: სამინისტროში ერთი ჩეხი არ არის, რომ ჩეხელების გამწვავებული საქმე დაამთავროს; ავტონომისტები უმცირესობას შეადგენენ და შეუძლებელია სამართლიანად გარდასწყდეს ოცდა-ათის წლის ბრძოლა ცენტრალისტებისა და ავტონომისტებ შორის.

—

Politik-ს შეუტყვია, რომ ახალჩეხები რავდენისამე საქმის გამო პასუხს მოსთხოვენ პარლამენტს და, სხვათა შორის, იმასაცა ჰკითხავენ, თუ რა ადგილი უჭირავს და რა უფლების პატრონია ჩეხია სახელმწიფოში. თვით გრაფ ვურმბრაანდტსაც შეეკითხა—ეხლაც იმავ აზრისაა, თუ არა, როგორც ამ რამდენისამე წლის წინად, პარლამენტს რომ ურჩევდა გერმანული ენა უნდა ალიაროთ სახელმწიფო ენადაო?

## თეატრის მატიანე

—

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, ტფილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „ფაუსტი“, მუსიკა გუნოსი. უმთავრეს როლებს ასრულებდნენ ქ-ნი პაპაიანი (მარგარიტა), ბ ნი აგულინი (ფაუსტი) და ბ-ნი ფერრარი (ვალენტინი). ეს სამი უმთავრესი მომღერალი იტალიურად ამბობდნენ თავის სათქმელ სიტყვებს, დანარჩენები—რუსულად. მეფისტოფელის როლს ასრულებდა ბ-ნი საგურსკი. თუმცა ძლიერა სცდილობდა და კარგად შეესრულებინა თავისი როლი, მაგრამ მაინც ვერაფერი მეფისტოფელი იყო. მესამე მოქმედებაში, მაგალითად, სადაც მეფისტოფელის არიაში ჩინებული საგალობელია, საგურსკი ძლიერა სუსტობდა. მეტად სუსტად ჩაატარა თავისი როლი ქ-მმა კაპლანმა, რომელიც ზიბელის როლს ასრულებდა. დანარჩენებზედ სულ არაფერს ვიტყვით ქ-ნ პაპაიანისა და ფერრარის გარდა. თუ ოპერა „ფაუსტი“ ცოტათი მაინც მოეწონა საზოგადოებას, მხოლოდ ამ ორის არტისტის წყალობით, რომელთაც თავიანთი როლები მშვენივრად აასრულეს.

ცოტათი მხარი მისცა ამათ ბ-მა აგულინმაც (ფაუსტი). ხალხი ბლომად იყო.

## გასართობი

—

პეტერბურგის თეატრში ერთს ვოდევილში თამაშობდა ნიჭიერი. არტისტი ქივოკინი. მონოლოგის დროს ერთი აფიცერი წამოდგა და თეატრიდგან გასვლა დააპირა. არტისტმა დაუძახა სცენიდგან:

— ნუ წახვალთ, ნუ წახვალთ! თქვენ ხომ არ იცით, რაც მოხდა მერე; აი ემ საათში გეტყვით.

აფიცერს შერცხვა და დაჯდა. ქივოკინმა თავის მონოლოგი მშვენივრად მოათავა და თეატრში დამსწრე საზოგადოებამა და თვით იმ აფიცერმაც ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს მოხერხებული არტისტი.

—

ერთმა კაცმა სთქვა: ამას წინად დიდს საზოგადოებაში კარგი სილა გამაწნესო. დამსწრეთ უთხრეს: მაშ მაგ საქმეს ძლიერ ცუდი შედეგი და დიდი უსიამოვნობა მოჰყვებოდაო.—დიაღ, ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვა, უპასუხა სილა ნატკეცმა, მთელ კვირას მარცხენა ლოყა გოგრასავით დასიებული მქონდაო.

—

ერთს დრამატურგსა ჰკითხეს: რატომ კომედიებს არა სწერო. მან უპასუხა: მას შემდეგ რაც მოლერის კომედიები წავიკითხე, მე ვეღარა ვბედავ კომედიების წერასაო.—მაშ, ეტყობათ რასინის ტრაგედიები ჯერ არ წაგიკითხავთ, მიუგეს დრამატურგს, რადგანაც ტრაგედიების წერაზე ჯერ ხელს არ იღებთო.

—

ერთმა ქალმა ჰკითხა ორს ძმასა: შენ ქერა რათა ხარ და შენი ძმა შავგვრემანიო. მან უპასუხა: მე დღისით დავიბადე და ჩემი ძმაკი ღამითაო.

## გამოსადეგი ცნობა

—

რითი გაარჩევთ რკინას ფოლადისაგან? გარეგნობით შეიძლება მოსტყუვდეს კაცი და ფოლადის მაგიერ რკინის ნივთი იყიდოს. ფოლადი უფრო მაგარია, ხმაც წმინდა აქვს, წკრიალი გაუდის, სითბოსაგან რკინაზედ ერთი-ორად მეტად ფართოვდება. მაგრამ ამებით გარჩევა ფოლადისა რკინისაგან უოკეთესი მოსახერხებელი არ არის და ამას გამოცდილებაც უნდა.

უფრო ადვილი საშუალება ამისათვის აზოტის სიმჟავეა. პატარა ასლად წვერწათლილა ჩხირი ჩაასველეთ აზოტის სიმჟავეში და დააწვეთეთ საცდელს საგანს. რამდენისამე წამის შემდეგ ამ ადგილს წყალი გადაასვლეთ. თუ ის ადგილი, სადაც სიმჟავე დააწვეთეთ, გაშავებულაა, ნივთი ფოლადისა ყოფილა; და თუ ბრჭყვიალებს და მოთეთრო ფერი დადგა, რკინა ყოფილა.

## დეპეშა

12 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ნევა გაიყინა.

**რომი.** დღეს, პარლამენტის პირველ კრებაზედ იმბრიანმა ითხოვა, სამინისტრო სისხლის სამართალში მივცეთო. პარლამენტის კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბანკების საქმე გამოეკვლია, მოხსენება წარადგინა და მთავრობას სრულიად ჰხდის იმ ბრალსა, ვითომც მთავრობის ანგარებით უმოქმედნია, ხოლო მსჯავრსა სდებს უზრუნველობისათვის 1880 წლიდგან, უადგილოდ მიაჩნია სამინისტროს მიერ ორის კერძო კაცისათვის მეცადინეობა და ჰკიცხავს ჟურნალისტებსა და მთავრობის მოხელეთ, რომელთაც კავშირიჰქონიათ რომის ბანკთან.

**პარიჟი.** გაზეთები დაჭეშმარიტებით ამბობენ, რომ ზოგიერთ რადიკალთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მთავრობის გამარჯვება-კი ეჭვს გარეშეა.

**რიო-ჟანეირო.** სადიპლომატო კორპუსი პეტროპოლისში გადავიდა. ზარბაზნის დაშენით დაიღუპა აჯანყებულთა სამხედრო გემი „ტავარი“.

13 ნოემბერი

**ბერლინი.** რეიხსტაგი განაგრძობს სერბიასა, რუმინიასა და ესპანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების განხილვას. კანცლერმა კაპრივიმ სთქვა: აგრარიების საყვედური შესახებ იმისა, რომ მთავრობა მეურნეთათვის არა ზრუნავსო, სრულიად უსაფუძვლოა. ნაციონალ-ლიბერალთა ორატორმა სთქვა: ჩვენის დასის უმთავრესობა ხელშეკრულებას მიემხრობაო. მაგრამ ეს მაინც ხელს არ შეუშლის დასს რუსეთთან ხელშეკრულების განხილვის დროს თავისი აზრი გამოთქვასო.

**რომი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სამსახურიდგან გადავდგეთო.

**პარიჟი.** დეკემბრის დამდეგს ბერლინში მოხდება ბჭობა გერმანიისა და საფრანგეთის დელეგატებს შორის ჩადის ტბის ახლოს მდებარე ადგილებზე. ბჭობას გააძნელებს ამას წინად მომხდარი ხელშეკრულობა ინგლისსა და გერმანიას შორის, შესახებ იმ ადგილებისა, რომლებზედაც საფრანგეთი ეხლა თავისს უფლებას აცხადებს.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

### თამარიანი

ისტორიული პოემა
შაირ წყობილად თქმული
თ. ს. გუგუნავას-მიერ
მეორე გამოცემა
ფასი 50 კაპ.


ხება, იმიტომ რომ ჩვენს საკუთარს მცირესა და უმნიშვნელო ტკივილებს მნიშვნელობა არა აქვს ბუნების დიდებულს არსებობაში. სიცოცხლე თავის-თავად არც კარგია და არც ცუდი.

**

ამერიც არა სჯერდება თავის უპირატესობას სამრეწველო ასპარეზზედ და შურს სახელი და დიდება ევროპისა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამერიკასა ჰყავს ამ ჟამად მთელი გუნდი პოეტებისა და რომანისტებისა. ეს ფრთა-გაშლილი გაძლიერება ლიტერატურისა იმედს აძლევს ამერიკას, რომ მალე ახლა ის იქონიებს გავლენას ევროპის ლიტერატურაზედ, მაშინ როდესაც აქამდე ასეთის გავლენის ნიშან-წყალიც არსადა სჩანდა, რადგან პირ-იქით თვით ამერიკა ევროპიდამ სესხულობდა ყოველსავე. ასეთისავე ამბავს ვამჩნევთ მხატვრობაშიაც. დღემდე ამერიკის მხატვარნი ევროპის მხატვრებსა ჰბაძავდნენ და თავიანთ ნიჭს ავარჯიშებდნენ მიუნხენსა, პარიჟსა და რომში. ამ საუკუნის დამდეგს ამერიკის მხატვარნი იყვნენ მიმდევარნი ინგლისის მხატვრობისა, მერე—გერმანულისა, ფრანგულისა და ასე ამ სახით ამ უკანასკნელ ხანში-კი ამერიკის მხატვრობა თანდათან მეტს დაუმოკიდებლობას იძენს. ამ მხატვრობას რაღაცნაირი ამერიკული ელფერი ედება. მაგრამ რა ელფერია ეს ელფერი? ამერიკის მხატვრობას ედება ელფერი სინორჩე—სიახლისა, სიუჭეტების ეხლანდელობისა და წმინდა ამერიკულის გაბედულობისა, რომელსაც ცოტა-არ იყოს არ ეჭაშნიკება ძველებურნი წესნი ტეხნიკისა. ამერიკის ახალგაზდა მხატვარნი იმ აზრს ადგანან, რომ უპირველეს ყოვლისა თავისუფლებაა საჭირო თითოეულის ნიჭიერის კაცის განვითარებისათვისაო. ამის გამო ისინი არც ერთს სკოლასა და მოძღვრებას არ ჰმომხრეობენ. საკმაოა ჰნახოთ სურათები ჰარისონისა, დონატისა და ჟისტლერისა, რათა დარწმუნდეთ, რომ ამერიკაში იბადება ახალი მხატვრობა, რომელიც არა ჰგავს ევროპის მხატვრობასა.

**

ერთი შესამჩნევი უპირატესობა ძველის მწერლებისა ეხლანდელ მწერალთა წინაშე ის არის, რომ ძველის მწერლების დედა-აზრები და ცოდნა მსოფლიოსი უფრო უცვალებელია. მომეტებულ ნაწილად წინანდელი მწერლები უფრო ერთგულობდნენ თავიანთ იდეალებს და მოხუცებამდე არ ჰღალატობდნენ; ხოლო თუ განირჩეოდა რითიმე ერთმანერთისაგან მათი თხზულებანი, დაწერილნი დავაჟკაცებისა და ყმაწვილობის დროს, განირჩეოდა მით, რომ ვაჟკაცობაში დაწერილს მეტი დამშვიდება და ზომიერება ეტყობოდა. ასეთს სიმტკიცეს ვერ დაიკვეხებენ ეხლანდელნი მწერალნი. მრავალნი მათ შორის ვაჟკაცობაში სტოვებენ თავიანთ წინანდელ სათაყვანებელ აზრებს, გადადიან სხვა ბანაკში, ანუ ჰქადაგებენ, რომ სრულიად უსარგებლო და უნაყოფო სურვილს ვეტანებოდითო. ასეთ კაცად გვეჩვენება სხვათა მრავალთა შორის პოლ ბურჟე თავისის რომანით — „კოსმოპოლისით“. მართალია, ბურჟე მუდამ ცოტაოდნად ეალერსებოდა დრო-გადასულს იდეალიზმს, მაგრამ მაინც დიდი მიმდევარი იყო ახალის ფილოსოფიურ თეორიებისა და სწამდა საფუძვლიანობა ეხლანდელ სამეცნიერო მეთოდებისა, რომელთაც ცოტა არ უშველეს ნატურალიზმის წარმატებას. თვით ბურჟე თავის-თავს ხშირად ფსიხოლოგიის მანიაკს უწოდებს; მისი რომანები უფრო სამეცნიერო გამოკვლევანი იყო, მაგრამ ამავე დროს თავისს ლექსებსა და მგზავრის წერილებში რომანტიულ მიმართულებასაც იჩენდა. დიაღ, ბურჟე თავიდამვე ვერ ჰმალავდა თავისს სიყვარულს ძველ კერპთა მიმართ, მაგრამ მაინც ვინ იფიქრებდა, რომ ეს კაცი ოდესმე კლერიკალად გადიქცეოდა, რაიცა ცხადად ეტყობა მოთხრობა „კოსმოპოლისში“. ამით მან არა თუ მთელი ქვეყანა გააოცა, არამედ ბევრი თავისი თაყვანის-მცემელი დაჰკარგა. ასეთი ცვლილება მწერლისა გაკოტრებასა ჰგავს და არ გვგონია, რომ ასეთი შეცდომა გაასწოროს რითიმე.

არტურ ლეისტი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 15 და 16 დეკემბერს ამა 1893 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნება გადიტანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 15—16 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ს საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 დეკემბერს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატინი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 15 დეკემბერს, სოფლის მამულებისა 16 დეკემბერს.

### ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲘᲐ.

#### ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 2206 მ. 84 კ., შემოსატანი გარდასახადი 299 მ. 16 კ. და სულ 2506 მ.

ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით და ეზოთი, ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში, ვოდოვოზნი ქუჩაზე. თავნი ვალი 406 მ. 81 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ., 68 კ., და სულ 469 მ. 49 კ.,

### ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡᲐ

#### ბ) სოფლის მამულები

ხიმშიაშვილები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატირინა ბექანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილეიი და ტყე, მიწა ზომით 653 დესეტინა, 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ათნის-ხევში. თავნი ვალი 3880 მ. 39 კ., შემოსატანი გარდასახადი 302 მ., 3 კ., და სულ 4182 მ. 42 კ.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი, ადგილები და ტყე, ზომით 391 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში. თავნი ვალი 2586 მ. 93 კ., შემოსატენი გარდასახადი 169 მ. 38 კ., და სულ 2756 მ. 31 კ.

გურჯ'ელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2624 მ. 97 კ., შემოსატანი გარდასახადი 292 მ. 66 კ. და სულ 2917 მ. 63 კ.

ბასკანოვი რომანოზ ივანეს ძე, არიშინი ნიკიფორე ათანასესძე, და სხვ. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 379 დესეტინა 760 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ადგილს ნაომარში. თავნი ვალი 7048 მ. 47 კ., შემოსატანი გარდასახადი 76 მ. 77 კ. და სულ 7125 მ. 24 კ.

ქობულოვი: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 823 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 8810 მ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 9175 მ. 41 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 525 დესეტინა 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ.: ახალქალაქს, მუხაურსა და სათარხნოში. თავნი ვალი 6167 მ. 44 კ., შემოსატანი გარდასახადი 124 მ. 93 კ. და სულ 6292 მ. 37 კ.

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავ-სათესი ადგილი და ტყე. მიწა ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში. სოფ. ბარემკარში. თავნი ვალი 2643 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 273 მ. 20 კ. და სულ 2916 მ. 39 კ.

ბარნაბოვისა ანასტასია სოლომონის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 440 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 47 მ. 92 კ. და სულ 488 მ. 45 კ.

გედევანისშვილი მერაბ იოსების ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, მიწა ზომით 60 დესეტინა 110 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასი და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 528 მ. 66 კ., შემოსატანი გარდასახადი 56 მ. 15 კ. და სულ 584 მ. 81 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე კონსტანტინეს ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ზომით 660 დესეტ., 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოთკოში. თავნი ვალი 10712 მ. 06 კ, შემოსატანი გარდასახადი 484 მ. და სულ 11196 მ. 06 კ.

აღა-რაჭიმოვი ჰაჯი იბრაგიმ-ზეინალ-ოღლი და სხვანი. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტ., 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ კიროხლოში. თავნი ვალი 5356 მ. 06 კ., შემოსატანი გარდასახადი 245 მ. 50 კ. და სულ 5601 მ. 56 კ.

პოლტორაცკი ალექსანდრე ეგნატეს ძე. სახნავ სათესი, საძოვარი, საბოსტნე იდგილები, ბაღი და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6394 მ. 86 კ., შემოსატანი გარდასახადი 346 მ. 35 კ. და სულ 6741 მ. 21 კ.

ჯომარჯიძე თომა იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვა-და-სხვა თავლებითა, ეზოთი და წყაროს წყლით, მიწა ზომით 1 დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1827 მ. 14 კ., შემოსატანი გარდასახადი 83 მ. 88 კ. და სულ 1911 მ. 02 კ.

წერეთელი ბაგრატ მიხეილის ძე. მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 1020 დესეტინა, 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8072 მ. 08 კ., შემოსატანი გარდასახადი 391 მ. 36 კ. და სულ 8463 მ. 44 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ტყე და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში. სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5045 მ. 04 კ., შემოსატანი გარდასახადი 410 მ. 70 კ. და სულ 5455 მ. 74 კ.

ავსარქისოვი ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი სერგო იაკულის ძე და პირო მელქისედექ ოსიფის ძე. სახნავ სსთესი, სათიბი, საძოვარა და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დესეტ., 888 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 11971 მ. 74 კ., შემოსატანი გარდასახადი 508 მ. 51 კ. და სულ 12480 მ. 25 კ.

მეჩითოვები: იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვანი. სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები, ზომით 151 დესეტინა, 657 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3223 მ. 16 კ., შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 84 კ. და სულ 3387 მ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 178 დესეტინა, 2011 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა დი მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო-თხინვალში. თავნი ვალი 2762 მ. 71 კ., შემოსატანი გარდასახადი 250 მ. 65 კ. და სულ 3013 მ. 36 კ.

ციციშვილი დავით ივანეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 87 დესეტინა, 960 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 4888 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 76 კ. და სულ 5076 მ. 11 კ.

ქარუმიძე ივანე პაატას ძე. სახნავ-სათესი, სასახლკარე და სავენახე ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 1440 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორთიზაში. თავნი ვალი 271 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 39 მ. 85 კ. და სულ 311 მ. 18 კ.

ავალიშვილისა ოლღა ედუარდის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 2320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საშაბუროში. თავნი ვალი 742 მ. 26 კ., შემოსატანი გარდასახადი 89 მ. 39 კ. და სულ 831 მ. 65 კ.

გედევანიშვილი, კონსტანტინე დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 89 დესეტინა. 2046 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა, დუშეთისა და გორის მაზრებში, აგარაკს მუხათ-გვერდსა, საგუდესა და სასხორში. თავნი ვალი 74[illegible] მ. 30 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ. 88 კ. და სულ 805 მ. 18 კ.

შალიკაშვილი ალექსანდრე რაჟდენის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 394 დესეტინა, 620 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 4695 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 200 მ. 48 კ. და სულ 4895 მ. 67 კ.

#### ქალაქის მამულები

მელითაური მიხეილ გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით $81^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე. თავნი ვალი 2985 მ. 59 კ., შემოსატანი გარდასახადი 119 მ. 78 კ. და სულ 3105 მ. 37 კ.

ჯორჯაძე დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველგვარ მოწყობილობით, ზომით 1443 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს. თავნი ვალი 5667 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 386 მ. 82 კ. და სულ 6053 მ. 92 კ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზე. თავნი ვალი 4359 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 277 მ. 30 კ. და სულ 4636 მ. 65 კ.

მაშადი-აბუზარ-მოლლა-ფეიზულა-ოღლი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 ნაწილში 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისსა სეიდაბათში, ვარანცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6539 მ. შემოსატანი გარდასახადი 412 მ. 48 კ. და სულ 6951 მ. 48 კ.

კადურინი: ვასილი თევდორეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვორონცოვის ნაპირეჟნაზე. თავნი ვალი 3051 მ. 54 კ. შემოსატანი გარდასახადი 219 მ. 70 კ. და სულ 3271 მ. 24 კ.

სოლომონოვი: ვაღარშაკ არტემას ძე. 6 ერთ სართულიანი კვითკირის სახლი სარდაფით და 9 ერთ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი, ყოველგვარ მოწყობილობით, მიწა ზომით: სიგრძით 66 და სიგანით $16^1/_2$ საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 13211 მ. 26 კ. შემოსატანი გაროასახადი 825 მ. 26 კ. და სულ 14036 მ. 52 კ.

შაბუროვი: გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი. 1-ლი, ორსართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ კუთხი საჟენი; 2-რე, ვენახი მარნით, მიწა ზომით: სიგძით 63 საჟენი, სიგანით, სამხრეთით 10 საჟ., ჩრდილოეთით 9 საჟ. ქალაქ სიღნაღში. თავნი ვალი 3026 მ. 40 კ. შემოსატანი გარდასახადი 217 მ. 10 კ. და სულ 3243 მ. 50 კ.

ალელოვი: იოსებ დავითის ძე. სამი თითო-სართულიანი სახლი, ფლიგელითა და ყოველივე მოწყობილობით, მიწა ზომით 91 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. გორში. თავნი ვალი 2269 მ. 81 კ. შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 56 კ. და სულ 2433 მ. 37 კ.

დიასამიძე: ნიკოლოზ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ანუ დუქანი, მიწა ზომით $66^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3513 მ. 27 კ. შემოსატანი გარდასახადი 416 მ. 49 კ. და სულ 3929 მ. 76 კ.

სინოიანცი: კარაპეტ ნიკიტას ძე. ორი თითო-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და სარაით, მიწა ზომით: სიგძით 27 საჟ. და 2 ალაბი, სიგანით 10 საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 1619 მ. 04 კ. შემოსატანი გარდასახადი 87 მ. 6 კ. და სულ 1706 მ. 10 კ.

ანდრონიკოვი; თებრონია გიორგის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით: სიგძიუ 25-ი, სიგანით 15 ოთხ-კუთხი იაჟ. ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 1541 მ. 96 კ. შემოსატანი გარდასახადი 117 მ. 17 კ. და სულ 1659 მ. 13 კ.

ციციანოვი: თომა კონსტანტინეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და მოწყობილობით, მიწა ზომით 112 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 2775 მ. 47 კ. შემოსატანი გარდასახადი 169 მ. 18 კ. და სულ 3944 მ. 65 კ.

თავდგირიძე: ბესარიონ გაბრიელის ძე. ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნითა და ბაღით, მიწა ზომით: სიგძით 51, სიგანით 48 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3139 მ. 39 კ. შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 32. კ. და სულ 3326 მ. 71 კ.

ხითაროვი: ბეგლიარ გიორგის ძე. ორ-ს-რთულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, საყინულეთი, თავლითა და ბაღითა, მიწა ზომით 12366 ოთხ-კუთხი საჟ. და ორი არშ., შაგარის უბანში, ქ. ერევანს, სარდიპ-კიუჩას ქუჩაზე. თავნი ვალი 3832 მ. 66 კ. შემოსატანი გარდასახადი 223 მ. 24 კ. და სულ 4055 მ. 90 კ.

ნიკოლაძე: ეკატერინე იაკობის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით 370 ოთხ კუთხი საჟ. ქ. ქუთაისში. ღოსპიტალის ქუჩაზე. თავნი ვალი 3408 მ. 83 კ. შემოსატანი გარდასახადი 266 მ. 93 კ. და სულ 3675 მ. 76 კ.

წერეთელი: მიხეილ ემილიანის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ერთ-სართულიანი ფლიგელით, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. მე 7 ნაწილში მე 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ლუარსაბის ქუჩაზე. თავნი ვალი 486 მ. 98 კ. შემოსატანი გარდასახადი 57 მ. 68 კ. და სულ 544 მ. 66 კ.